# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-586

ქ. თბილისი

04/05/2021

**შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ ყარადაღ-თბილისის 471,8-473,3 კმ. მდ. მტკვრის საჰაერო გადასასვლელის 500 მმ მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

2021 წლის 1 აპრილს სამინისტროს მომართა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ დირექტორმა  და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ ყარადაღ-თბილისის 471,8-473,3 კმ. მდ. მტკვრის საჰაერო გადასასვლელის 500 მმ მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციაზე გაიცა N44 (24.12.2007) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2007 წლის №44 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 26 დეკემბრის N1825 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით

იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2007 წლის №44 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ ყარადაღ-თბილისის 471,8-473,3 კმ. მდ. მტკვრის საჰაერო გადასასვლელის 500 მმ მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა N44; 24.12.2007);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 26 დეკემბრის N1825 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი